

საავტომობილო გზის აქტივების მართვა (RAM)  
საქართველო  
2022 წლის 12-15 სექტემბერი

# RAM პოლიტიკის მომზადება

Dr Ian Greenwood  
BE(Civil), PhD(Eng), FEngNZ(Civil), CPEng(NZ)  
ian@gaic.nz

# რა არის RAM პოლიტიკა?

- RAM განხორციელების ოფიციალური დადასტურება
- ხშირად უკავშირდება ISO55000 სერტიფიკატის ან მსგავსი მიღწევის ჩანაფიქრს

- ქალაქი ადელაიდა, ავსტრალია

<https://d31atr86jnqrq2.cloudfront.net/docs/policy-asset-management.pdf?mtime=20200124090819>

- ტასმანიის შტატი, ავსტრალია

[https://www.transport.tas.gov.au/data/assets/pdf\\_file/0004/114439/Road Management Infrastructure Asset Management Policy.pdf](https://www.transport.tas.gov.au/data/assets/pdf_file/0004/114439/Road_Management_Infrastructure_Asset_Management_Policy.pdf)

# რა არის RAM პოლიტიკა?


- პოლიტიკის მიზანი (ქალაქი ადელაიდა, ავსტრალია):

*“წინამდებარე პოლიტიკა ასახავს ქალაქ ადელაიდას მიდგომას მდგრადად მართოს ინფრასტრუქტურული აქტივები არსებული და სამომავლო მიზნების მიღწევისთვის. პოლიტიკა ხელს შეუწყობს აქტივების მართვის მდგრადი მიდგომის ჩამოყალიბებას და გათვალისწინებულია მთელს ორგანიზაციაში, აქტივების ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში.*

*ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ფილოსოფია, რომელიც მართავს ჩვენს ქალაქს შენარჩუნდეს- ჩვენ ვართ ქალაქი, რომელიც გაცნობიერებულად და მიზანმიმართულად არის შექმნილი ხალხის გათვალისწინებით- და ჩვენთვის ადამიანების კეთილდღეობა და ცხოვრების ხარისხი კვლავაც დარჩება საქმიანობის საფუძვლად.”*

- მოკლე დოკუმენტი- რამდენიმე გვერდი, ან ერთი გვერდი
- გათვალისწინებული აქტივების მასშტაბი
- RAM დანერგვის ვალდებულება
  - შეიძლება იყოს ISO55000 მიღების ვალდებულება
- ფუნქციონირების პერიოდში ხარჯების გაწევის პრინციპის ვალდებულება
- მომსახურების დონე
- რისკების მართვა
- მომხმარებელზე ორიენტირებული
  
- დასტურდება მაღალი დონის უწყების მიერ- მაგალითად, მინისტრი, სამდივნო ან მსგავსი

- ქალაქ ადელაიდას მაგალითი





# კონკრეტული როლები- ადელაიდას მაგალითი

- **მერის და არჩეული წევრების პასუხისმგებლობები.** პოლიტიკის და აქტივების მართვის პრინციპების დამტკიცება, და იმის უზრუნველყოფა, რომ აქტივების მართვის მოთხოვნები ითვალისწინებდეს აქტივების მართვის გეგმის მოთხოვნებს და ასახული იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საბჭოს დაგეგმვის და ფინანსური მართვის აქტივობებში.
- **CEO და ELT** ეკისრება პასუხისმგებლობა რესურსების გამოყოფაზე, და მდგრადი აქტივების მართვის პრაქტიკის დანერგვაზე მთლიანად ორგანიზაციაში, ასევე უზრუნველყოფს, რომ აქტივების მართვის ყველა აქტივობა შეესაბამებოდეს საბჭოს სტრატეგიულ გეგმას, ინტეგრირებულ ბიზნეს გეგმას და საბიუჯეტო პროცესებს, ასევე გრძელვადიან ფინანსურ გეგმას.
- **ინფრასტრუქტურის ასოცირებული დირექტორი** ხელმძღვანელობს საბჭოს აქტივების მართვის ჩარჩოს დანერგვას, მათ შორის პოლიტიკის, სტრატეგიის და გეგმების მომზადებაზე. აქვს პასუხისმგებლობა უზრუნველყოს მონიტორინგი და პრინციპების დანერგვა, რომლებიც ასახულია ორგანიზაციების პოლიტიკებში.
- **საზოგადოებრივი სფეროს ასოცირებული დირექტორი.** უზრუნველყოფს ყოველდღიურ ტექნიკურ მომსახურებას და ორგანიზაციის ოპერაციული მოთხოვნების დაგეგმვას, ასევე ამ პოლიტიკის პრინციპებთან შესაბამისობას.
- **ფინანსების და შესყიდვების ასოცირებული დირექტორი.** უზრუნველყოფს ფინანსური გათვლების მომზადებას, რომლებიც გათვალისწინებულია აქტივების მართვის გეგმაში და გრძელვადიან ფინანსურ დაგეგმარებაში, ასევე ტექნიკური მომსახურების, ოპერაციების, განახლების და არსებული და მომავალი აქტივების ხარჯების განახლებაში.
- **აქტივების მენეჯერი და პერსონალი.** უზრუნველყოფს აქტივების მართვის პოლიტიკაში და სტრატეგიაში პრინციპების და მიზნების გათვალისწინებას და აქტივების მართვის გეგმის მომზადებას. აქტივების მართვის გეგმის მომზადება, განახლება და დანერგვა, მათ შორის აქტივების განახლების მოთხოვნების, მომსახურების დონეების, ტექნიკური მომსახურების სტანდარტების და ახალი და განახლებული აქტივების ხარჯების განსაზღვრა.

- გაქვთ თუ არა პოლიტიკა, ან მსგავსი დოკუმენტი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრას RAM ვალდებულებას?
- თუ ასეა, ვინ ახდენს ამ დოკუმენტის ავტორიზებას?
- ეფექტურია თუ არა დოკუმენტის RAM დანერგვის პროცესში?
- გჭირდებათ თუ არა დახმარება დოკუმენტის მომზადებაში?





კითხვები

Dr Ian Greenwood

Greenwood Associates Infrastructure Consultants

ian@gaic.nz